პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

16 დეკემბერი
შაბათი
1961 წ.
№ 295 (1841)

ფასი 3 კაპ.

გამოცემის მე-18 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო სპორტულ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ცნობილი ინგლისელი მძლეოსნის გორდონ პირის გადაწყვეტილებამ მისი პროფესიონალებში გადასვლის შესახებ.

სანამ შედგებოდა გ. პირის „პრემიერა“ პროფესიულ სარბიელზე, მან ლონდონის ყოველკვირეულ გაზეთ „პიპლის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა სკანდალური ხასიათის წერილების მთელი სერია, სადაც მკითხველებს „მოგონებათა“ სახით მოუთხრო თავის წარსულ სპორტულ კარიერაზე. რა თქმა უნდა, ყოველ სპორტსმენს, მით უმეტეს ისეთ ცნობილს, როგორიც იყო გ. პირი, უფლება აქვს თავისი ცხოვრების განვლილი გზა გააცნოს ფართო საზოგადოებრიობას, მაგრამ ის, რაც დაწერა გ. პირმა, შორს დგას სინამდვილისაგან. აქ ნახავთ ყოველგვარ სიბინძურეს: ცილისწამებას თავის ყოფილ სპორტულ მეტოქეთა მიმართ, ათასგვარ მონაჭორს, თავშეუკავებელ ბაქიაობას და ა. შ. გ. პირის ეს ყოვლად უხამსი „მოგონებანი“ უხვად გამოიყენეს დასავლეთის რეაქციული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, რომლებიც არ იშურებდნენ ადგილს შეთითხნილი ნაყალბევიდან ყველაზე უფრო „საინტერესო“ ადგილების გადმოსაბეჭდად. აი, მაგალითად, რას წერს ყოფილი სპორტსმენი, ამჟამად კი მოხეტიალე ტაკი-მასხარა შესანიშნავი საბჭოთა მძლეოსნის, ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის ვ. კუცის შესახებ: „ეჭვი მაქვს, რომ ცნობილი სპორტსმენი, რუსული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი ვლადიმერ კუცი ღებულობდა ან აღმაზნებ წამალს, ან იმყოფებოდა ჰიპნოზის ქვეშ (?!), როცა იმარჯვებდა სარბენ ბილიკებზე საერთოდ და კერძოდ, მელბურნში... მე არ ვამტკიცებ იმას, რომ მან ეს წამლები მიიღო საკუთარი სურვილით, მაგრამ ჩემის აზრით, მას საამისოდ გუნდის ხელმძღვანელები აიძულებდნენ“.

ამგვარი „მარგალიტებითაა“ აღსავსე ეს „მემუარები“. საინტერესოა, ვინ დაუჯერებს გ. პირის? მელბურნში 110 ათას მაყურებელი, მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები მოწმენი იყვნენ თუ როგორ ბრწყინვალედ დაამარცხა ვ. კუცმა გ. პირი. რა ჰიპნოზის ქვეშ უნდა ყოფილიყო ვ. კუცი, როცა მან რბენის პროცესში რამდენიმეჯერ შესთავაზა მოწინააღმდეგეს ხელთ აეღო ლიდერობა, მაგრამ გ. პირიმ ვერც ერთხელ ვერ იკისრა ჩადგომოდა რბენას სათავეში და აჩრდილივით უკან მისდევდა საბჭოთა სპორტსმენს.

— კუცი უძლეველია, — განაცხადა მაშინ გ. პირიმ, — მან მე გამანადგურა რბენის ტემპის განუწყვეტელი ცვლით.

და აი ყოველივე ამის შემდეგ ინგლისელი სტაიერი ზემოაღნიშნულ მონაჭორს სთავაზობს მკითხველებს.

ჩვენ ამას წინათ გამოვაქვეყნეთ ცნობა გ. პირის პირველ გამოსვლაზე პროფესიონალთა შორის. ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში გამართული ხარების ბრძოლის წინ გ. პირი 5.000 მეტრზე რბენაში შეეჯიბრა ორ ადგილობრივ მძლეოსანს, რომელთაგან თვითეულს უნდა გაერბინა 2.500 მეტრი. გ. პირის გამოსვლა სამარცხვინოდ დამთავრდა, ვინაიდან ორმა სრულიად უცნობმა, მეორეხარისხოვანმა სპორტსმენმა აჩვენა მასზე უკეთესი საერთო შედეგი.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ვბეჭდავთ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებულ ვ. კუცის წერილს.

პასუხი „მემუარების“ ავტორს

ლიდხანს ვფიქრობდი, ღირს თუ არა დამეწერა ეს სტრიქონები, ღირს თუ არა პირდაპირ ან გაკვრით მიმართო ადამიანს, რომელიც არ ერიდება გაგსვაროს და ლაფი შეგასხას. მაგრამ, ვინაიდან საქმე შემეხება არა მარტო მე და გორდონ პირი თავისი ცილისმწამებლური განცხადებით პრესაში გამოვიდა, რითაც შეცდომაში შეჰყავს მილიონობით მკითხველი, გადავწყვიტე, რომ მისთვის პასუხის გაცემა წარმოადგენს ჩემს საზოგადოებრივ მოვალეობას.

გ. პირის მე რამდენიმეჯერ შევხვედრივარ სარბენ ბილიკზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ შეხვედრა ნორვეგიის ქალაქ ბერგენში მას განსაკუთრებით დაამახსოვრდა. იქ 5.000 მეტრზე რბენაში გ. პირი ჯიუტად მომდევდა ზურგში, ინახავდა ძალას და ფინიშის სწორზე გასვლისას სწრაფად გაიჭრა წინ. წამმზომებმა აჩვენეს 13.36,8 წუთი. მსოფლიო რეკორდი. ჩემი მოწინააღმდეგე გრძნობამორეული მარომევდა ხელს და თავაზიანად მიხდიდა მადლობას.

ამას მოჰყვა ავსტრალია. ოლიმპიური თამაშები მელბურნში. აქ 10.000-მეტრიან დისტანციაზე პირი აჩრდილივით მომდევდა უკან, მაგრამ რბენა სხვაგვარად დამთავრდა: მე შევინარჩუნე ლიდერობა და პირველმა დავამთავრე დისტანცია ახალი ოლიმპიური რეკორდით, იგივე განმეორდა 5.000 მეტრზე რბენაში. მაშინ ინგლისელმა ასევე მომილოცა გამარჯვება და მრავალი სასიამოვნო სიტყვა წარმოთქვა ჩემი წარმატების თაობაზე.

და აი ახლა მე გავიგე, რომ თუ რამე ყველაფერი ასე არ ყოფილა. ლონდონის გაზეთ „პიპლის“ ფურცლებზე გ. პირიმ განაცხადა, რომ თურმე იგი ყოველთვის იმარჯვებდა კეთილშობილურ და პატიოსან სპორტულ ბრძოლაში, ხოლო ვლადიმერ კუცისათვის გამარჯვება მოჰქონდა რაღაც სასწაულმოქმედი წამლების ყლაპვას, აღმაზნებ საშუალებათა მიღებას, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებმა და ექიმებმა გამოიგონეს.

ამასთან, ვითომ საბჭოთა სპორტსმენებს თითქმის ძალით, მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ აიძულებდნენ ამ წამლების მიღებას.

თუმცა პირი არაფერს გარკვეულად არ ამტკიცებს, მას მხოლოდ „ეჭვი შეაქვს“, იგი მხოლოდ „ვარაუდობს“, მას მხოლოდ „ჰგონია“. ამის თაობაზე შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთი რამ: არის ეჭვი, რომელიც შეურაცხყოფაზე უარესია და გ. პირის მონაჭორი მით უფრო შეურაცხმყოფელია, რომ იგი მლიქვნელურად ცდილობს გამოხატოს თავისი „თანაგრძნობა“ ჩემს მიმართ.

რა თქმა უნდა, გ. პირის არ შეუძლია მოიყვანოს თუნდაც ერთი ფაქტი, ან რაიმე სარწმუნო მტკიცება თავისი ეჭვების დასამტკიცებლად. გასაგებია რატომაც. საბჭოთა სპორტსმენებს და მწვრთნელებს, საბჭოთა ექიმებს, რომლებიც თვალს ადევნებენ სპორტსმენთა ჯანმრთელობას, შეუძლიათ სიამაყით თქვან, რომ ჩვენს ქვეყანაში არც მძლეოსნებს, არც სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს არ აძლევენ აღმზნებ საშუალებებს, რომლებიც დამღუპველად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე.

დიახ, საბჭოთა სპორტსმენები ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევენ ოლიმპიურ თამაშებზე და საერთაშორისო ჩემპიონატებზე. მაგრამ ამას აღწევენ პატიოსანი გზით — ორგანიზმის ყოველმხრივი განვითარებით, წვრთნის გააზრებული მეთოდიკით, რაციონალური კვებით, დღის რეჟიმის მკაცრი დაცვით.

თვით გ. პირი ხშირად მონაწილეობდა მძლეოსანთა მრავალ უდიდეს შეჯიბრებაში. მას, რასაკვირველია, არაერთხელ უნახავს თუ როგორ ეცემოდნენ უგრძნობლად ფინიშის ხაზის გადალახვის შემდეგ დასავლეთის ქვეყნების სპორტსმენები და შემდეგ დიდი ხანი სჭირდებოდა მათს მოყვანას გონებაზე. ვერ გვეტყვის გ. პირი, თუ რატომ ხდებოდა ეს? და თუ უნახავს მას, რომ ამგვარი რამ ოდესმე მომსვლოდეს მე? რა თქმა უნდა, არა. სამაგიეროდ, გ. პირის არ აწყუხდა გაეხსენებია, თუ როგორ იწვა იგი მელბურნში 5.000 მეტრზე რბენის შემდეგ ბალახზე დაღლილი და განაწამები, ხოლო მე კიდევ ერთი წრე შემოვურბენე სტადიონს, მივესალმე მაყურებლებს და შემდეგ დიდხანს ვაძლევდი ინტერვიუს ჟურნალისტებს. ამ ჟურნალისტებს ხომ არ ურბენიათ დისტანცია და ამიტომ კარგად შეამჩნევდნენ რაიმე უცნაურობას ჩემს საქციელში ან მდგომარეობაში, თუ ასეთ უცნაურობებს ადგილი ჰქონდა, როგორც ამას გ. პირი ამტკიცებს.

მე ზუსტად არ ვიცი ინგლისური კანონები, მაგრამ მახსოვს რომ ინგლისში ცილისწამებისათვის (განსაკუთრებით პრესაში გამოქვეყნებული ცილისწამებისათვის) სასამართლოში აძლევენ და დამნაშავეს შეიძლება მიუსაჯონ დიდი ფულადი ჯარიმა. ნუ ეშინია გ. პირის თავისი ფულისა — მე არ ვაპირებ მისთვის საჩივრის წაყენებას. მაგრამ მე მინდა სირცხვილი ვაჭამო ამ უპატიოსნო ადამიანს.

ვლადიმერ კუცი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო რეკორდსმენი.

ზეზონის უკანასკნელი მატჩი

სპორტის ერთადერთი სახეობა, რომელზეც დადებითად მოქმედებს ცივი, უქარო ამინდი, ტყვიით სროლაა. ამ პირობებში იარაღი ერთგვარად დაცულია გახურებისაგან, ეს კი სპორტსმენს მაღალი შედეგების ჩვენების საშუალებას აძლევს. ასე იყო ახლაც, როცა ავჭალის სასროლეთზე ბრძოლაში ჩაებნენ უკრაინისა და თბილისის ტყვიით მსროლელთა ნაკრები გუნდები.

ორ წელიწადს მზადდებოდა ორი მოძმე რესპუბლიკის სპორტსმენთა მატჩი და ორჯერვე არ შედგა სხვადასხვა მიზეზების გამო, წელს კი თბილისის სპორტკავშირის ინიციატივით, როგორც უკრაინის გუნდის მწვრთნელმა გ. ანისიმოვმა ხუმრობით შენიშნა, ყველა წინაღობა დაძლეულ იქნა.

შეჯიბრება ხალხთა III საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით ტარდება და მიზნად ისახავს ძალთა ერთგვარ შემოწმებას 8 რესპუბლიკის მატჩისათვის, რომელიც კიევში გაიმართება.

სტუმრები მთელი თავიანთი საბრძოლო შემადგენლობით ჩამოვიდნენ ჩვენს დედაქალაქში, მათ შორის იყვნენ რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. რომანენკო, სსრ კავშირის ჩემპიონი ს. ტიაგნი, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ა. ფედოროვი და სხვები, მაგრამ მათ ტიტულების მფლობელნი თბილისშიც საკმაოდ დახვდნენ და ბრძოლაც საინტერესო გამოდგა.

უკვე პირველსავე — დღეს ორი შესწორება იქნა შეტანილი რეკორდების ცხრილში და ორჯერვე მათი ავტორები ქალები იყვნენ. ამ დღეს ერთ ვარჯიშს — მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლილა 60 გასროლას, ასრულებდნენ როგორც ვაჟები, ისე ქალები და ორივე შემთხვევაში უპირატესობა სტუმრებს დარჩათ. ვაჟებში ა. ფედოროვმა 3 ქულით აჯობა თ. მეგრელიშვილს (თბილისი) — 586 ქ. მაგრამ ორივეზე უკეთესი აღმოჩნდა ქალთა შორის უძლიერეს ო. ივანოვას მაჩვენებელი — 592 ქულა, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უკრაინის გუნდური რეკორდის გაუმჯობესებაში — 1763 ქ. აქ მესამე იყო თბილისელი ქალი

(დასასრული მე-3 გვ.)

* * *

ხურათზე: შ. ქველიაშვილი იარაღს ამზადებს ჩოქელა სროლისათვის.

ცნობები ლენინგრადიდან

ლენინგრადი. (ტელეფონით) აქ დაიწყო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში 1961 წლის გუნდურ პირველობაზე. ასპარეზობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები.

ასპარეზობის პირველ დღეს საქართველოს მოჭიდავეებმა დამარცხეს ესტონელები — 19:12. მოსკოველებმა — უკრაინის ძლიერი გუნდი — 18:14, დანარჩენ შეხვედრებში აზერბაიჯანელებმა გაიმარჯვეს ყაზახებთან, ლატვიელებმა — ყირგიზებთან და თურქმენებმა — ტაჯიკებთან.

შეჯიბრება გრძელდება...

ჩილი-უნგრეთი—0:0

უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა თავისი მეორე შეხვედრა ჩაატარა ჩილის ნაკრებ გუნდთან (პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, ჩილის ნაკრებმა მოიგო ანგარიშით 5:1).

უნგრელებმა ვერ შეძლეს რევანშის აღება და დასჯერდნენ ფრეს — 0:0.

ხურათზე: ი. კუპერმანი, რომელმაც ამას წინათ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ასუჯრიან შაშში.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1961-1964 წლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★

ტყვიით სროლა

1. სათანრიგო ნორმები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი ნაჩვენები იქნება ოფიციალურ დასწრებულ შეჯიბრებაზე.

სათანრიგო ნორმები შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკურ დაუსწრებელ შეჯიბრებებზე, რომლებიც ადგილებზე ორგანიზებულია როგორც დასწრებული შეჯიბრებანი და ცეცხლის ხაზზე ერთდროულად გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის ან ფიზკულტურის კოლექტივის სპორტსმენები.

2. სპორტის ოსტატის ნორმა შესრულებულად ჩაითვლება თუ შედეგი ნაჩვენები იქნება არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებისა, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა უწყების არანაკლები ორი სპორტული ორგანიზაცია, ან ერთი უწყების 5 ორგანიზაცია.

3. საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის პირად შეჯიბრებებში ოსტატის ნორმა შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ სროლის აღნიშნულ სახეობაში (ვარჯიშში) მონაწილეობდა არანაკლებ 12 სპორტსმენისა.

4. მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან მე-5 და მე-8 ვარჯიშში, აგრეთვე მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტიდან მე-5 ვარჯიშში სპორტის ოსტატის ნორმა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შედეგი ნაჩვენები იქნა არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებისა და სროლა სწარმოებდა ავტომატურ დანადგარებზე დამაგრებულ სამიზნეებზე.

⊙

სათანრიგო ნორმების შესრულების პირობები

⊙

5. I თანრიგი შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ შედეგი ნაჩვენები იქნება არანაკლები საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებისა, რომელშიც მონაწილეობდა სულ მცირე ორი სპორტული ორგანიზაცია ან ფიზკულტურის სამი კოლექტივი.

6. სათანრიგო ნორმები შესრულებულად ჩაითვლება თუ მსაჯთა კოლეგიაში იყო არანაკლები:

რესპუბლიკური კატეგორიის ორი მსაჯი — ოსტატის ნორმის შესრულებისას.

პირველი კატეგორიის ორი მსაჯი — პირველი თანრიგის შესრულებისას.

მეორე კატეგორიის ორი მსაჯი — მეორე თანრიგის შესრულებისას.

მესამე კატეგორიის ორი მსაჯი — მესამე და ჭაბუკთა თანრიგის შესრულებისას.

ეს მოთხოვნები ვრცელდება იმ მსაჯებზეც, რომლებიც ასრულებენ მთავარი მსაჯის, ცეცხლის ხაზისა და შედეგების განმსაზღვრელი უფროსი მსაჯების მოვალეობას.

7. სპორტსმენს სათანრიგო ნორმები შესრულებულად ჩაეთვლება თუ იგი წლის განმავლობაში მონაწილეობდა არანაკლებ შემდეგ რაოდენობის შეჯიბრებაში: სპორტის ოსტატი — 7-ჯერ; I თანრიგი — 6-ჯერ; II თანრიგი — 5-ჯერ; III და ჭაბუკთა I თანრიგი — 3-ჯერ.

8. ჭაბუკთა I თანრიგი ენიჭებათ 15 წლის ასაკიდან.

სათანრიგო ნორმები (ქულებში)

ვაჟები და ქალები

ვარჯიშის №	ვარჯიში	დისტანცია (მეტრებში)	თანრიგი (ნორმა ქულებში): სპორტ. ოსტატი	I	II	III	I ჭაბუკ.
	ვაჟები						
	მცირეკალიბრიანი შაშხანა						
მც. კალ. შაშ.—1	წოლელა სროლა — 10 გასროლა	25	—	—	—	92	87
„ „ „ —2	წოლელა სროლა — 10 გასროლა	50	—	—	—	85	82
„ „ „ —3	წოლელა სროლა 50 და 100 მეტრზე — 60 გასროლა . . .	50 და 100	588	572	560	—	—
„ „ „ —4	სროლა სამი მდგომარეობიდან — 30 გასროლა (3×10) . . .	50	—	265	250	230	220
„ „ „ —5	სროლა სამი მდგომარეობიდან — 60 გასროლა (3×20) . . .	50	562	535	505	—	—
„ „ „ —6	სროლა სამი მდგომარეობიდან — 120 გასროლა (3×40) . . .	50	1130	1075	1015	—	—
„ „ „ —7	სროლა სამი მდგომარეობიდან — 30 გასროლა (3×10)	25	—	280	265	245	230
„ „ „ —8	წოლელა სროლა — 30 გასრ. .	50	—	288	280	270	255
„ „ „ —9	წოლელა სროლა — 60 გასრ. .	50	590	575	560	—	—
„ „ „ —10	სროლა სამიზნეზე „შველი" — 20 გასროლა (ნორმალური სირბილი)	50	—	—	75	65	—
„ „ „ —11	სროლა სამიზნეზე „შველი" (ნორმალური და სწრაფი სირბილი) — 40 გასროლა (20+20)	50	—	150	135	120	—
„ „ „ —12	სროლა სამიზნეზე „შველი" (ნორმალური და სწრაფი სირბილი) — 80 გასროლა (40+40)	50	320	300	270	—	—
	ნებისმიერი შაშხანა						
ნებისმ. შაშხ. — 1	სროლა სამიზნეზე „გაქცეული ირემი" — 20 ერთჯერადი და 10 ორმაგი გასროლა (20+2×10)	100	—	145	135	120	—
„ „ „ —2	სროლა სამიზნეზე „გაქცეული ირემი"—50 ერთჯერადი გასროლა	100	215	190	170	—	—
„ „ „ —3	სროლა სამიზნეზე „გაქცეული ირემი" — 25 ორმაგი გასროლა	100	205	180	16)	—	—
„ „ „ —4	სროლა სამიზნეზე „გაქცეული ირემი" — 50 ერთჯერადი და 25 ორმაგი გასროლა (50+2×25)	100	410	365	325	—	—
„ „ „ —5	სროლა სამი მდგომარეობიდან — 60 გასროლა (3×20)	300	562	535	505	—	—
„ „ „ —6	სროლა სამი მდგომარეობიდან — 120 გასროლა (3×40) . . .	300	1125	1070	1010	—	—
	არმიული შაშხანა						
არმიული შაშხ.—1	წოლელა სროლა — 10 გასროლა	100	—	—	92	85	—
„ „ „ —2	წოლელა სროლა — 10 გასროლა	300	—	—	85	75	—
„ „ „ —3	წოლელა სწრაფსროლა ხელიდან და საყრდენით — 10 გასროლა (5+5)	300	—	85	75	65	—
„ „ „ —4	სროლა სამი მდგომარეობიდან — 30 გასროლა (3×10)	300	—	250	230	200	—
„ „ „ —5	სროლა სამი მდგომარეობიდან — 60 გასროლა (3×20)	300	530	500	460	—	—
„ „ „ —6	წოლელა სროლა — 20 გასროლა	300	—	—	170	150	—
„ „ „ —7	სროლა სამი მდგომარეობიდან — 30 გასროლა (3×10)	100	—	265	245	220	—
	მცირეკალიბრიანი პისტოლეტი						
მცირეკ. პისტ.—1	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 10 გასროლა	25	—	—	90	85	75
„ „ „ —2	სროლა სილუეტებზე — 30 გასროლა	25	—	285	270	250	235
„ „ „ —3	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 30 გასროლა	50	275	255	240	220	—
„ „ „ —4	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 30 გასროლა	25	—	275	260	245	235
„ „ „ —5	სროლა მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე — 60 გასროლა (30+30)	25	585	560	530	—	—
„ „ „ —6	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 60 გასროლა	50	545	510	480	—	—
„ „ „ —7	სროლა 5 სილუეტზე — 30 გასროლა	25	—	280	265	245	—
„ „ „ —8	სროლა 5 სილუეტზე — 60 გასროლა (2×30) . . . . ,	25	580	555	530	—	—
	მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტი						
რევოლ.-პისტ.—1	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 10 გასროლა	25	—	—	85	80	—
„ „ „ —2	სროლა სილუეტებზე — 30 გასროლა	25	—	280	265	245	—
„ „ „ —3	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 20 გასროლა	50	—	160	145	130	—
„ „ „ —4	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 30 გასროლა	25	—	275	260	245	—
„ „ „ —5	სროლა მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე — 60 გასროლა (30+30) . . . . . . ,	25	580	555	530	—	—
	სროლა ავტომატიდან და სნაიპერული შაშხანიდან	განსაკუთრებული პირობებით					
	ქალები						
	მცირეკალიბრიანი შაშხანა						
მცირეკ. შაშხ.—1	წოლელა სროლა — 10 გასრ. .	25	—	—	—	92	87
„ „ „ —2	წოლელა სროლა — 10 გასრ. .	50	—	—	—	85	82
„ „ „ —3	წოლელა სროლა —50 და 100 მეტრზე — 60 გასროლა (30+30)	50 და 100	588	572	560	—	—
„ „ „ —4	სროლა სამი მდგომარეობიდან— 30 გასროლა (3×10)	50	—	260	245	225	—
„ „ „ —5	სროლა სამი მდგომარეობიდან — 60 გასროლა (3×20)	50	552	525	495	—	—
„ „ „ —7	სროლა სამი მდგომარეობიდან — 30 გასროლა (3×10)	25	—	275	260	240	2 5
„ „ „ —8	წოლელა სროლა — 30 გასრ.	50	—	288	280	270	255
„ „ „ —9	წოლელა სროლა — 60 გასრ.	50	590	575	560	—	—
	მცირეკალიბრიანი პისტოლეტი						
მცირეკ. პისტ.—1	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 10 გასროლა	25	—	—	85	80	75
„ „ „ —2	სროლა სილუეტებზე — 30 გასრ.	25	—	280	265	245	230
„ „ „ —3	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 30 გასროლა	50	265	245	230	—	—
„ „ „ —4	სროლა მრგვალ სამიზნეებზე — 30 გასროლა	25	—	270	255	240	230
„ „ „ —5	სროლა მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე — 60 გასროლა (30+30)	25	575	550	520	—	—
„ „ „ —7	სროლა 5 სილუეტზე — 30 გასროლა	25	—	275	260	240	—
„ „ „ —8	სროლა 5 სილუეტზე — 60 გასროლა (2×30)	25	575	550	520	—	—

შენიშვნა: მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 1-ლი და მე-2 ვარჯიში უნდა შესრულდეს სპორტული შაშხანით (ტიპი „ტოზ-8-12"), მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 1-ლი ვარჯიში — მარგოლინის ტიპის სპორტული პისტოლეტით და მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტიდან 1-ლი ვარჯიში — პისტოლეტ-რევოლვერიდან (მაკაროვის ტიპის 1895 წლის ნიმუშის რევოლვერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1961 წლის გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში

სურათებზე: საბჭოთა კავშირის 1961 წლის გუნდური პირველობის პრიზიორები კლასიკურ ჭიდაობაში. ზევით მარჯვნივ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — უკრაინის გუნდი, მარცხნივ — რუსეთის ფედერაცია (მეორე ადგილი), შუაში — საქართველოს გუნდი (მესამე ადგილი).

უკრაინა — პირველ ადგილზე

შეიძლება თუ არა სპორტულ ასპარეზობაში ადგილი ჰქონდეს რაიმე შემოქმედებითი შთაგონების, აღმაფრენის მსგავს გრძნობას? ასეთი გრძნობის შესახებ, რომელიც უცბად მოევლინება ხოლმე რომელიმე გუნდს და რაღაც საერთო, ამაღლებული, ლამაზი სულისკვეთებით მსჭვალავს მას, არაერთხელ დაწერილა და თქმულა; ოღონდ, დაწერილა და თქმულა სპორტულ თამაშობებთან დაკავშირებით, სადაც მართლაც ფართო გასაქანი აქვს ფანტაზიას, სილამაზეს, თუ გნებავთ — პოეტურობასაც. მაგრამ, შესაძლებელია თუ არა იგი მოჭიდავეთა გუნდურ ასპარეზობაში?

სწორედ ერთი წლის წინ ჩვენ საშუალება გვქონდა ასეთი რამ გვეხილა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე. მაშინ, ჩემპიონატის უკანასკნელ წრეში, ჩვენს გუნდს, რომელიც შეჯიბრებიდან გამოთიშვის აშკარა საფრთხის წინაშე დადგა, თუ იგი წააგებდა შეხვედრას მეორე ადგილის ყველაზე აშკარა პრეტენდენტთან — ლენინგრადის გუნდთან, „მხსნელად მოევლინა" ეს აღმაფრენა. უნდა გენახათ მაშინ ჩვენი გუნდი, ჩვენი ყოველი მოჭიდავე! ისინი იბრძოდნენ რაღაც უჩვეულო სიმსუბუქით, რაღაც საოცარი შთაგონებით, ისე, როგორც არასდროს უბრძოლიათ ამ ჩემპიონატში. და შედეგი?... მრისხანე მეტოქე ძლეულ იქნა გამანადგურებელი ანგარიშით — — 20:10 და ჩვენ მოვიპოვეთ საპრიზო ადგილი!..

გაცილებით უფრო მრისხანე მეტოქე ჰყავდათ გუშინწინ კლასიკური სტილის ქართველ მოჭიდავეებს რუსეთის ფედერაციის ნაკრების გუნდის სახით. ეს გუნდი წარმოადგენდა ნამდვილ „თანავარსკვლავედს" — მსოფლიო და საკავშირო შვიდ ჩემპიონსა თუ ექსჩემპიონს, ხოლო მერვეს — ვ. კარავაევს — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს.

რსფსრ-ს ამ ერთადერთ „უტიტულო" სპორტსმენთან ჩვენი გუნდის წარმომადგენლის — ზ. მირიანაშვილის ორთაბრძოლით დაიწყო სწორედ საკავშირო ჩემპიონატის ეს ყველაზე უფრო საინტერესო და მძიმე მატჩი. და სწორედ ზ. მირიანაშვილმა, რომელსაც ამ უკანასკნელ შეხვედრამდე არ მოუტანია თავისი გუნდისათვის არც ერთი გამარჯვება, პირველად გააბათილა ყოველგვარი პროგნოზები, უჩვეულო სიმსუბუქით, თამამად ჩაატარა მთელი შეხვედრა ვ. კარავაევთან და მძაფრ, ტექნიკურად მდიდარ ბრძოლაში მიაღწია მეტად საპატიო ფრეს.

ეს იყო პირველი ნიშანი, რომ საქართველოს გუნდი შემართული იყო იმ რაღაც განსაკუთრებული, საბრძოლო-ამაღლებული გრძნობით, რომ მისი არც ერთი წევრი არ აპირებდა შემდრკალიყო მრისხანე მეტოქეების წინაშე.

მეორე ფრე ფიქსირებულ იქნა ზ. უგრეხელიძის შეხვედრაში მსოფლიო პირველობის პრიზიორთან — ნ. გარაევთან. ეს იყო უკვე მომქანცველი ტაქტიკური ბრძოლა მეტოქის შეცდომაზე დაჭერისათვის, რომელშიც ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია მიზანს.

მომდევნო წონით კატეგორიაში კვლავ ისახელა თავი რ. რურუამ. როგორც ცნობილია, მეოთხე წრეში მან დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ო. კარავაევი. ამჯერად მას საქმე ჰქონდა ექსჩემპიონთან და 1956 წლის მსოფლიოს თასის მფლობელთან — ვ. სტაშკევიჩთან. სტაშკევიჩმა ფრთხილად დაიწყო ბრძოლა, მაგრამ მაინც აშკარა იყო, რომ მას — ისევე როგორც მის გუნდს — აწყობდა მხოლოდ მოგება. ამიტომ, მან პირველმა მიიტანა იერიში — წამოიწყო ფანდი, რომელიც რ. რურუამ მაშინვე ჩაკეტა და ჩვეულებისამებრ, კონტრილეთით ჩოქბჯენში ჩააგდო მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ ქართველმა მოჭიდავემ კიდევ მოიპოვა ორი ქულა: ჩოქბჯენში მყოფი მეტოქე „აგლიჯა" და გადაატრიალა. მომდევნო წუთებში სტაშკევიჩმა ვერ შეძლო ვერაფრის გაკეთება და იძულებული გახდა შერიგებოდა დამარცხებას.

ერთადერთი უფერული ორთაბრძოლა ამ მატჩში იყო ა. ქორიძისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ვ. ფესუნკოს შეხვედრა, სადაც არ გაკეთებულა აბსოლუტურად არაფერი. აქ მესამედ იქნა ფიქსირებული ფრე.

ბრწყინვალედ იბრძოდა დ. გვანცელაძე მსოფლიოს ჩემპიონ ვ. ზენინთან, რომელიც, ამასთან, 5-6 კგ-ით უფრო მძიმეა ჩვენს მოჭიდავეზე. მან ვერაფერი გააწყო გვანცელაძის ელვისებური შეტევის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ჯერ ჩოქბჯენში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ — ტრიალით იქნა ამობრუნებული. ასევე ვერაფერი გააწყო მან დარჩენილ წუთებშიც, სადაც კვლავ იჩინა თავი ქართველი სპორტსმენის როგორც ტექნიკურმა, ისე ტაქტიკურმა უპირატესობამ. 12 : 8 — ასეთი გახდა შეფარდება ჩვენი გუნდის სასარგებლოდ გვანცელაძის შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ.

„ტიტულიანთა" მორიგი რისხვა აღმოჩნდა ფ. გველესიანი, რომელმაც თავიდანვე აღებული ერთი ქულით დაამარცხა საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონი ნ. ანფინოგენოვი. ამ შეხვედრის შემდეგ გუნდური გამარჯვება უკვე უზრუნველყოფილი იყო და რ. აბაშიძის ა. ტკაჩოვთან გაყოფილი ქულების შემდეგ ალარაფერი იქნებოდა სალაპარაკო, რომ კვლავ არ განვეცვიფრებინეთ — ამჯერად ა. ხაბეიშვილს. მან თავიდანვე აგრესიულად შეუტია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს ა. შუროვს, აიღო კიდევაც ქულა და დიდხანს დამაჯერებლად მიჰყავდა ორთაბრძოლა, სანამ მოწინააღმდეგემ არ გაათანაბრა იგი. საბოლოოდ აქაც ფრე — ფრე საბრძოლო და საპატიო!

18 : 12! — ასეთი დიდი უპირატესობით მოუგო საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონატის ყველაზე უფრო ძლიერი შემადგენლობის მქონე გუნდს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბრწყინვალე გამარჯვებით არაფერი შეცვლილა ტურნირის საბოლოო ცხრილში.



არსებობს თუ არა ბედი სპორტულ ასპარეზობებში? უკრაინის ნაკრების წევრს რ. ბაგდონასს — ეროვნებით ლიტველს — როგორღაც საუბარი ჰქონდა ჩვენთან და აღნიშნა, რომ ბედნიერი იქნებოდა, თუ კი ლიტვის გუნდი მომავალში, როცა ის მის მწვრთნელობას დაუბრუნდება, შეძლებს თუნდაც მერვე ადგილზე გასვლას. დამთავრდა ჩემპიონატი და ლიტვის გუნდი გამოვიდა... მე-6 ადგილზე. მის უკან კი დარჩნენ შარშანდელი ჩემპიონი — ბელორუსია, მასზე გაცილებით ძლიერი კოლექტივი — ესტონეთი და ა. შ.

ახალ ჩემპიონს — უკრაინის გუნდს ამ პირველობაზე საოცრად იოლი გზა შეხვდა ამ ტიტულისაკენ მიმავალ გზაზე. მაშინ, როცა სხვა ფავორიტები ერთმანეთს მძიმე, დამქანცველ ბრძოლებში ღლიდნენ და თიშავდნენ შეჯიბრებიდან, უკრაინის კოლექტივმა ჯერ იყო და სუსტ გუნდებთან აიღო სამი ქულა, შემდეგ მოსკოვის გუნდი საერთოდ არ გამოუცხადდა, ხოლო ფინალში შეექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ რსფსრ-სთან წაგების შემთხვევაშიც იგი არაფერს კარგავდა. მართლაც, ამ შეხვედრაში მან განიცადა ლამის სამარცხვინო დამარცხება — 9 : 18 და... გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. რსფსრ-მ ამ გამარჯვების მეოხებით დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ჩვენი გუნდი, რომელსაც ქულათა საუკეთესო შეფარდება ჰქონდა, მესამეზე აღმოჩნდა.

როცა ლაპარაკია ბედის შესახებ, ფაქტიურად გულისხმობენ შემთხვევითობებს.

და მით უფრო დაზღვეულია ასეთი შემთხვევითობებისაგან ესა თუ ის ჩემპიონატი, რაც უფრო სრულყოფილია მისი ჩატარების სისტემა, დებულება.

ვ. კუხიანიძე,
საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,
შ. ჯუღელი

სეზონის უკანასკნელი მატჩი

(დასასრული)

ა. ორჯონიკიძე — 585 ქ. ეს საქართველოს „დოსააფ-ის" რეკორდია.

საინტერესო ფაქტი მოხდა მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში (60 გასროლა). თავიანთი მოვალეობა პირნათლად მოიხადეს თბილისელმა ოსტატებმა ა. შილოვმა (553 ქ.) და ვ. სილუქაძემ (549 ქ.). მათ I და II ადგილები მოიპოვეს, მაგრამ ის, რაც გააკეთა ორმა, წყალში ჩაჰყარა მესამე თანაგუნდელმა — დ. ფილიევმა, რომელმაც იარაღი დროულად არ შეამოწმა, ცუდად ისროდა და გუნდს პირველი ადგილი დააკარგვინა.

საქართველოს რეკორდების ცხრილში შეივსო კიდევ ერთი თავისუფალი ადგილი. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე (3X20) სროლაში ქალთა გუნდს ამ შეჯიბრებამდე გადალახული არ ჰქონებია რეკორდებისათვის სარეგისტრაციო ნორმატივი. ამჯერად გუნდმა ლ. გრუზდევას (554 ქ.), ნ. ტირასპოლსკაიას (550 ქ.) და ნ. ერმიშიანის (548 ქ.) შემადგენლობით მოაგროვა 1652 ქულა და დაამყარა რესპუბლიკური რეკორდი, პირადში უკრაინელმა ო. ივანოვამ 2 ქულით აჯობა გრუზდევას და ეს უპირატესობა მოპოვებულ იქნა წოლელა სროლაში.

უკვე ჩატარებულ ვარჯიშთაგან ყველაზე საინტერესო მაინც ვაქთა სტანდარტი (3X40) იყო მცირეკალიბრიანი შაშხანიდან. სხვებთან ერთად ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ საკავშირო რეკორდის თანაავტორები თბილისელი შ. ქველიაშვილი და უკრაინელი ა. ფედოროვი და ახლაც სწორედ მათ შორის გაიმართა ბრძოლა პირველობისათვის. თბილისელი წოლელა სროლაში მხოლოდ მეხუთე იყო — 388 ქ. მაგრამ შემდეგ არავის დაუთმო პირველობა ჩოქელა (385 ქ.) და დგომელა—(363 ქ.) სროლაში. სამი მდგომარეობის ჯამში ქველიაშვილმა აჩვენა საერთაშორისო კლასის შედეგი — 1136 ქულა და 9 ქულით აჯობა ძირითად კონკურენტს — ა. ფედოროვს.

გუნდურში 3 ქულის უპირატესობით გაიმარჯვეს უკრაინელებმა— 4473 ქულა, იმის წყალობით, რომ თავიანთ შესაძლებლობაზე დაბლა ისროლეს თბილისელებმა რ. ანანიკიანმა (VII ადგილი) და თ. მეგრელიშვილმა (VIII ადგილი). ამ გამარჯვებით უკრაინელებმა აიღეს რევანში მოსკოვში, საკავშირო პირველობაზე დამარცხებისათვის.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში უკრაინის კოლექტივმა დაამყარა საკავშირო რეკორდი — 1738 ქ. მაგრამ ეს შედეგი რეკორდად არ დამტკიცდება, რადგან სილუეტების დანადგარები ავჭალის სასროლეთზე არაავტომატურია. პირადში გაიმარჯვა ს. ტიაგინმა (უკრაინა) — 582 ქულა.

შეჯიბრება გრძელდება. გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით წინ არიან სტუმრები.

ო. ივლოშვილი



როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები.

სურათზე: ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრი ი. ტიტოვი ასრულებს ვარჯიშს ტაიჭზე.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

კაირო ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პაპმა (უნგრეთი) გამართა თავისი მე-18 საერთაშორისო შეხვედრა, როგორც პროფესიონალურმა მოკრივემ. მისი მეტოქე იყო საფრანგეთის ჩემპიონი მიშელ ფრანსუა. შეხვედრა მიმდინარეობდა ლასლო პაპის აშკარა უპირატესობით. უკვე მეორე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა უნგრელმა.

ნიუ-იორკი. აქ გამოცხადდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ვილმა რუდოლფი გათხოვდა და გვარიც გამოიცვალა — ვილმა უარდი გახდა.

პრაღა. გამოცხადდა, რომ სოციალისტური ქვეყნების არმიების მეორე სპარტაკიადა გაიმართება პრაღაში, 1962 წლის სექტემბერში.

ფრანკფურტი. გაიმართა ამხანაგური შეხვედრა კრივში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის მოყვარულთა ნაკრებს

ყოველი მხარიდან

შორის. გამარჯვება ანგარიშით 12:8 იტალიელებს დარჩათ.

სტოკჰოლმი. ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და უნგრეთის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს უნგრელებმა ანგარიშით 5:0.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებმა თავის მოედანზე მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები და მშრალი ანგარიშით 5:0 დაამარცხა.

ვენა. გაიმართა შეხვედრა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ლიუბლიანას „ოლიმპიამ“ (იუგოსლავია) ანგარიშით 99:77 სძლია ავსტრიის „ეკეს“.

ამსტერდამი. გაიმართა შეხვედრა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. საფრანგეთის ჩემპიონმა „ბანოლემ“ ანგარიშით 52:40 სძლია ამსტერდამის „უუმს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი. გრძელდება [illegible] საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში იმ ქალაქებს შორის, რომლებიც ბაზრობებს მართავენ. „ინტერნაციონალემ“ (მილანი) ანგარიშით 4:0 სძლია „ჰირსს“ (შოტლანდია) და გავიდა გათამაშების მეოთხედფინალში.

ჰელსინკი. ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰოკეისტთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც გასტროლებზეა ფინეთში. იგი ანგარიშით 2:4 დამარცხდა ფინეთის ნაკრებთან, ხოლო შემდეგ ტამპერეს ნაკრებთან ითამაშა ფრედ — 3:3.

ხუთი დღე ხუთ ნაბიჯზე ვერ დაძრულან. მეტხანს დგომაც სახიფათოა და მეექვსე დღეს სიცოცხლეს ისევ სასწორზე დებენ. ისე თოვს, მარხილში მჯდომი თავის ძაღლებს ვერ ხედავს. ყოველ ნაბიჯზე ნაპრალი და ხნარცვია. ესაა გზა არსაით. მაგრამ ადამიანები მიდიან, რადგან წინ — პოლუსია. პირველთა უფლებით გადააქვთ რუკაზე ახალი წარწერები: „ჯოჯოხეთის ჰიშკარი“, „ეშმაკის საცეკვაო დარბაზი“, „ქაჯის ყინვარი“... მართლაც, ესაა ქაჯეთი, საიდანაც თვით ქაჯები გაქცეულან!

• • •

— ბატონო რუალ, განა დრო არ არის უკან გავბრუნდეთ?

— ბატონო ვისტინგ, განა უკვე მოვედით პოლუსზე?

— მაგრამ თუ ეს სიცოცხლედ დაგვიჯდა?

— მეცნიერება ღირს სიცოცხლედ.

— სამხრეთი პოლუსი მიუვალია.

— სადაც ადამიანია, იქ მიუვალი ადგილი არ არსებობს.

— მოგაგონებთ: სამხრეთ პოლუსს ვერ მიუახლოვდნენ კუკი, ბისკო, ჯემს კლარკ როსი, ბელინგსჰაუზენი, სკოტი, ვედელი... თვით შეკლტონმა დაიხია...

— გმადლობთ ვისტინგ: თქვენ არ გიხსენებიათ ამუნდსენის გვარი! — ვისტინგი დუმს. ამ კაცთან დავა უნაყოფოა. ამაზე ადრე უნდა ეფიქრა. არა, ვისტინგი მხდალი როდია. ამუნდსენის თანამგზავრები სიმამაცით არავის ჩამოუვარდებიან — თვით ამუნდსენის გარდა, მაგრამ ფოლადი ხომ ტყდება! მცირე დუმილის შემდეგ ვისტინგი ისევ ხუმრობს:

— მართლაც, იქნება ქვესკნელის ნაცვლად მწვერვალზე აღმოვჩნდეთ; ჩვენ ხომ ჩრდილო პოლუსზე გავემგზავრეთ და სამხრეთში აღმოვჩნდით!

— ეს განზრახვა მხოლოდ კუნძულ მადეირაზე გაგიმხილეთ.

— დიახ, ეს მადეირაზე მოხდა.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 204.

— თაიე ფიქრობდით იმ დილით?

— რაზედაც გნებავთ, ოღონდ არა სამხრეთ პოლუსზე.

— მაინც ხომ კმაყოფილი დარჩით?

— ოღონდაც! სულაც არ გვეხალისებოდა ჩრდილო პოლუსზე თავის წყვეტა იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენი მეტრის სიმაღლეზე ფრიალებდა ამერიკული დროშა.

— გამოგიტყდებით. როცა გაზეთში ეს ცნობა წავიკითხე, სულში სიკვდილი ჩამიჯდა. ასე მეგონა, გამძარცვეს-მეთქი. აქ ამუნდსენი დადუმდა. უცბად გაიცინა:

— ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ექნებოდა, რომ წინდახედულ ღმერთს საკუთრივ ჩემთვის არ შეექმნა მეორე პოლუსი.

და უეცრად ფოლადის სახეს ისევ ყინულის სუსხი ეუფლება: „ჩემთვის? მერე, სკოტი? რატომაც არ უნდა მისცეს ღმერთმა ორივე პოლუსი იმ ხალხს, რომელსაც უბოძა ორივე ნახევარსფერო?“ — და დიდმა მოგზაურმა შოლტი მოუქნია ძაღლებს.

88° 23′! ფიქრით მოცულ ამუნდსენს ესმის მქუხარე „ვაშა“. სარკესავით სპეტაკ ცაზე ნორვეგიის დროშა ფრიალებს: ეს ნიშნავს, რომ მიაღწიეს იმ განედს, რომლის იქითაც დასაბამიდან კაცის შვილს ფეხი არ შეუდგამს: 88° 23′! ამ განედზე იყო შეკლტონი, იქით კი არავინ. დაჭრილ, დასერილ, სისხლის მჟონავ სახეზე ამუნდსენს

სამხრეთ პოლუსის აღმოჩენის 50 წლისთავი

ღვარად ჩამოსდის ცრემლი, რასაც ადამიანს მხოლოდ შემოქმედებითი სიხარული ჰგვრის.

გადის დღეები. ექსპედიცია დაქინებით მიიწევს წინ. სად არის სკოტი? და უეცრად ისმის რუალის მკვეთრი ხმა:

— სდექ! სამხრეთი პოლუსი!

90°! პოლუსი! გამარჯვება! დედამიწის უკიდურეს სამხრეთ წერტილზე ნორვეგიის დროშა ფრიალებს და ძლევამოსილი ადამიანები ერთიმეორეს ეხვევიან. ამიერიდან დედამიწა დაპყრობილია. ამუნდსენია სარდალი, რომელმაც დაასრულა დედამიწის დაპყრობა.

სკოტი არ ჩანს. საბრალო პონები!

აი, დიდი სპორტსმენი უკვე პოლუსის ბინადარია. კარავზე „ფრამის“ დროშაა. სად გაქრა ლეგენდარული თეთრი მთა, ცას რომ სვეტად შესდგომია? სადაა ქვესკნელი, რომლის ძირზეც ურჩხულებით აქოთებული ოკეანე დუღს? გაიფანტა ზღაპარი თავისი უკანასკნელი თავშესაფრიდან. აღარც სვეტია, აღარც ქვესკნელი, არის მხოლოდ ველი, პოლუსი. აქ თავდება რუკა.

• • •

გვიანი ღამეა.

ფრამჰეიმს სძინავს. სადაცაა გათენდება კიდეც. უეცრად იღება კარი და ხის სახლში შემოდის კაცი, რომელსაც არწივის გამოხედვა და ველურის გარეგნობა აქვს. ან თოვლის მეფეა ან...

— ამუნდსენი! — შესძახა იოჰანსენმა.

— სად არის „ფრამი“? — ესაა მისი პირველი კითხვა.

— ვეშაპის ყურეში. სამი კვირაა გელოდებათ. ბატონო რუალ, რაც ფრამჰეიმი დატოვეთ, უკვე ოთხმოცდაცხრამეტი დღე გავიდა.

ამუნდსენი იხდის გაზინთულ ქურქს.

— ...ბატონო რუალ, იყავით პოლუსზე?

გვიან შეეხო იოჰანსენი მტკივნეულ საკითხს. დაძაბულ დუმილში ისმის ვიკინგის ფოლადისებური ხმა:

— სხვანაირად ვერასოდეს ვერ იხილავდით რუალ ამუნდსენს!

ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— რობერტ სკოტი არ გინახავთ? — იკითხა პრესტრუდმა.

— რობერტ სკოტი არ გვინახავს.

ქოხში დუმილია. ეს დუმილი გამარჯვების ნიშანია. სასტიკია ცხოვრების კანონი. ორთაბრძოლაში იმარჯვებს ერთი. ამუნდსენმა გაიმარჯვა. გამარჯვებას შვენის ამაყი დუმილი.

დუმს ვიკინგი და მძიმე ეჭვი ზრდის მის ნაოჭების რიცხვს. ჯერ რა იცის, რომ პოლუსზე ოთხი კვირით გვიან მისული სკოტი და მისი თანამგზავრები ახლა ნახევრად გაყინულნი, მშიერნი, გათოშილნი, სულით დაცემულნი მილასლასებენ თეთრი სიკვდილის სამეფოში და სადაცაა ყინულის ხელი შეეხება მათს შეუპოვარ გულს! არ იცის არც ის, რომ ინგლისის პრესა მას ბრალს დასდებს ეშმაკობაში, გამოაცხადებს სკოტის დაღუპვის მიზეზად; არც ის იცის, რომ მის პატივსაცემად მოწყობილ სადილზე ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი ლორდი კერზონი გესლიანად იტყვის შეურაცხმყოფელ სიტყვას:

— განსვენებულ სკოტს ცხენებისა და მარხილის იმედი ჰქონდა, ხერ ამუნდსენმა კი უპირატესობა ძაღლებს მიანიჭა. მაშ სამჯერ შევძახოთ „ვაშა“ ძაღლების საპატივცემოდ! — რუალი დუმილით შეხვდება ამ სიტყვებს და დაუყოვნებლივ დატოვებს ლონდონს...

არა, ამუნდსენი არ ფიქრობს თავისი გმირობის ასეთ შედეგებზე, არც იმაზე, რომ ნორვეგია თავის ეროვნულ გმირს შეხვდება ისეთი პატივით, როგორიც ნანსენის შემდეგ — და არც ნანსენამდე — არავის ღირსებია; არც ის იცის, რომ ჩვიდმეტი წლის შემდეგ გენერალ ნობილეს გადასარჩენად გაფრინდება და უგზოუკვლოდ დაიკარგება, ხოლო ქვეყნიდან ქვეყნად დაუსაბამოდ იქროლებს ახალი მაგიური სახელი, მაგელანის, კუკის, კოლუმბისა და ნანსენის თანაბარი სახელი: ამუნდსენი! — არა, ამუნდსენი ფიქრობს იმაზე, რომ პონები ალბათ გაიყინენ და მამაცმა სკოტმა საშინელი აღსასრული ჰპოვა. ვის შეუძლია თანაუგრძნოს ამუნდსენივით! რუალი სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ზის. წინ უდგას სავსე სასმისი. უკან დარჩა ჩრდილო-დასავლეთი გასასვლელი, მაგნიტური პოლუსი, კუნძული დისკო, იოას ყურე, სამხრეთი პოლუსი, რასაც ვერ გადაშლიან საუკუნეები.

აკაკი გელოვანი

„გუსტავის თასი“ — შვედებს

დამთავრდა შვეციის მიერ მოწყობილი მეფე გუსტავის თასის გათამაშება ჩოგბურთში.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა ფინალი. შვედებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს დანიელები და მოიპოვეს მეფე „გუსტავის თასი“.

რედაქტორი ი. უგულავა.



დღეს!

17 ს. — ფრენბურთი (ქალები) — **სკა (როსტოვი) — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი** (თბილისი).

18 ს. — ფრენბურთი (ვაჟები) — **სკა (როსტოვი) — სკიფი (თბილისი).**

19. ს. — ხელბურთი (ქალები) — **„ლოკომოტივი“** (ბაქო) — **„ბურევესტნიკი“** (თბილისი).

20 ს. — ხელბურთი (ვაჟები) — **ნაკრები** (ერევანი) — **„ბურევესტნიკი“** (თბილისი).

ხვალ!

17 ს. — ფრენბურთი (ქალები) — **სკა** (როსტოვი) — **ნაკრები** (თბილისი).

18 ს. ფრენბურთი (ვაჟები) — **სკა** (როსტოვი) — **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი** (თბილისი).

19 ს. — ხელბურთი (ქალები) — **„ლოკომოტივი“** (ბაქო) — **„ბურევესტნიკი“** (თბილისი).

20 ს. — ხელბურთი (ვაჟები) — **ნაკრები** (ერევანი) — **„ბურევესტნიკი“** (თბილისი).

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-35-09, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05721